ავტობიოგრაფია

დავიბადე 1989 წლის 7 აგვისტოს, ქ. გორში.

2007 წელს წარჩინებით დავამთავრე ქ. გორის წმ. გიორგის სახელობის სკოლა-ლიცეუმი და იმავე წელს 100%-იანი გრანტით ჩავირიცხე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც დავამთავრე 2011 წელს და მომენიჭა სამართალმცოდნეობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. 2012 წელს სწავლა განვაგრძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც წარჩინებით დავამთავრე 2014 წელს და მომენიჭა სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

2010-2011 წლებში გავიარე სტაჟირება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში.

2011-2012 წლებში გავიარე მოსამართლის თამაშემწის სამთვიანი სასწავლო კურსი საქართველოს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში და ჩავაბარე სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ტესტური გამოცდა.

2011 სექტემბრიდან 2013 ნოემბრამდე ვმუშაობდი საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის სამდივნოში რეფერენტის მოვალეობის შემსრულებლად, ხოლო 2013 ნოემბერიდან 2016 მაისამდე ვიყავი საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის სამდივნოს რეფერენტი.

2016 მაისიდან 2017 ივნისამდე ვმუშაობდი საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის სამდივნოს მოსამართლის თანაშემწედ. 2017 ივლისიდან 2020 ოქტომბრამდე ვიყავი საქართველოს უზენაესი სასამართლოს მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის სამდივნოს მწერალი თანაშემწე. 2020 ოქტომბრიდან 2023 წლის 11 ივლისამდე ვმუშაობდი საქართველოს უზენაეს სასამართლოში მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის სამდივნოს მთავარი კონსულტანტის - მოსამართლის თანაშემწის პოზიციაზე.

საქართველოს უზენაეს სასამართლოში მუშაობის პერიოდში ვმონაწილეობდი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლისა და საერთაშორისო ორგანიზაციების (USAID, GIZ, PROLOG, EU4justice, IRZ) მიერ ორგანიზებულ პროფესიულ ტრენინგებსა

და სემინარებში, მათ შორის, 2018 წელს ვიყავი მართლმსაჯულების ზამთრის სკოლის მონაწილე.

2022 წლის 28 მაისს ჩავაბარე მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით.

2023 წლის 11 ივლისიდან 2024 წლის 11 ნოემბრამდე ვიყავი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.

ვარ დაოჯახებული.

ხატია ბერიკაშვილი ხ. ბერიკაშვილი